2021-2022 | საქართველოს ჩემპიონატი

დიდი 10

1. მონაწილეთა რაოდენობა: 10

1	აია ქუთაისი
2	ბათუმი ბათუმი
3	აკადემია თბილისი
4	ყოჩები ბოლნისი
5	იუნკერები კიკეთი
6	ლოკომოტივი თბილისი
7	ხარები რუსთავი
8	ლელო სარასენს თბილისი
9	არესი ქუთაისი
10	ყაზბეგი სტეფან'წმინდა

1.1 სათამაშო დღეები: პარასკევი, შაბათი, კვირა

1.2 ძირითადი დებულების თანახმად, განაცხადში უნდა ეწეროს მინიმუმ 46 (ორმოც და ექვსი) მოთამაშე

1.3 სამონაწილეო გადასახადია გუნდზე 6,000 (ექვსი ათასი) ლარი

1.4 სალიცენზიო გადასახადია მოთამაშეზე 15 (თხუთმეტი) ლარი

2. გათამაშების სისტემა

2.0 შეჯიბრება ტარდება ორ ეტაპად.

2.0.1 I ეტაპი – რეგულარულ ჩემპიონატი – გაიმართება ორ წრედ:

მიმოსვლით – შინ და გარეთ (18 ტურად)

2.0.2 ჩემპიონი გამოვლინდება II ეტაპზე – პლეი-ოფში

ამ ეტაპზე მონაწილეობს რეგულარული ჩემპიონატის ექვსი (6) მოწინავე გუნდი

2.1 I ეტაპზე (რეგულარულ ჩემპიონატში) ადგილები განაწილდება დაგროვილი ქულებით

2.1.1 თუ ორ ან მეტ გუნდს დაუგროვდა ტოლი ქულა, დაწინაურდება ის გუნდი,

ა) რომელმაც დააგროვა მეტი (საცხრილო) ქულა ორ ურთიერთ-შეხვედრაში

ბ) რომელსაც გატანილი და მიღებული ქულების (ბურთების) უკეთესი სხვაობა ექნება ორ ურთიერთ-შეხვედრაში

გ) რომელსაც გატანილი და მიღებული ლელოების უკეთესი სხვაობა ექნება ორ ურთიერთ-შეხვედრაში

დ) რომელსაც გატანილი და მიღებული ქულების (ბურთების) უკეთესი სხვაობა ექნება ეტაპის ორ წრეში

ე) რომელსაც გატანილი და მიღებული ლელოების უკეთესი სხვაობა ექნება ეტაპის ორ წრეში

ვ) რომელიც ნაკლებ დისციპლინარულ სასჯელს (ჯერ წითელ, მერე ყვითელ ბარათს) მიიღებს ეტაპის ორ წრეში

2.2 ჩემპიონატის II ეტაპზე – პლეი-ოფში – თამაშები გაიმართება

ავსტრალიური სქემით, ოთხ (4) ტურად:

რეგულარულ ჩემპიონატში დაკავებული ადგილების მიხედვით გუნდებს მიენიჭებათ ნომრები – 1, 2, 3, 4, 5 და 6

"მასპინძლობს" ნიშნავს "ირჩევს მოედანს"



2.2.1 პირველ ტურში ორი მატჩია – მესამედ-ფინალებში (მფ)

2.2.1 1 და 2 ისვენებენ

მფ1: 3 მასპინძლობს 6-ს

მფ2: 4 მასპინძლობს 5-ს

მოგებულები გადიან გასავარდნ ფინალში (გფ)

წაგებულები ვარდებიან: უკეთეს-ნომრიანი იკავებს – V, უარეს-ნომრიანი – VI ადგილს

2.2.2 მეორე ტურშიც ორი მატჩია:

ა) შესარჩევ ფინალში (შფ) 1 მასპინძლობს 2-ს

მოგებული გადის დიდ ფინალში (დფ) და ისვენებს მესამე ტურში

წაგებული გადის წინასწარ ფინალში (წფ)

ბ) გასავარდნ ფინალში (გფ) თამაშობენ მესამედ-ფინალების (მფ) მოგებულები

მასპინძელია უკეთეს-ნომრიანი

მოგებული გადის წინასწარ ფინალში (წფ)

წაგებული ვარდება და იკავებს IV ადგილს

2.2.3 მესამე ტურში ერთი მატჩია – წინასწარი ფინალი (წფ)

შესარჩევი ფინალის (შფ) წაგებული მასპინძლობს
გასავარდნი ფინალის (გფ) მოგებულს

მოგებული გადის დიდ ფინალში (დფ)

წაგებული ვარდება და იკავებს III ადგილს

2.2.4 მეოთხე ტურშიც ერთი მატჩია – დიდი ფინალი (დფ)

შესარჩევი ფინალის (შფ) მოგებული თბილისში ეთამაშება
წინასწარი ფინალის (წფ) მოგებულს

მოგებული ხდება ჩემპიონი (იკავებს I ადგილს), წაგებული იკავებს II ადგილს

2.2.5 პლეი-ოფში ფრეზე ინიშნება ორი დამატებითი, 10-წუთიანი ტაიმი

2.2.5.1 თუ გამარჯვებული ამის შემდეგაც ვერ გამოვლინდა, გამარჯვებულად ცხადდება ის გუნდი:

ა) რომელმაც მეტი ლელო გაიტანა ამ მატჩში

ბ) რომელმაც ნაკლები დისციპლინარული სასჯელი (ჯერ წითელი, მერე ყვითელი ბარათი) მიიღო ამ მატჩში

გ) რომელსაც უკეთესი ნომერი მიენიჭა პლეი-ოფის დაწყების წინ

2.3 ჩემპიონატის I ეტაპის დასრულების შემდეგ

2.3.1 ბოლო, X ადგილოსანი გუნდი პირდაპირ ტოვებს დიდ 10-ს

2.3.2 მის ადგილს შემდეგ, 2022-2023 სეზონში იკავებს 2021-2022 სეზონში I ლიგის გამარჯვებული

2.3.3 ბოლოსწინა, IX ადგილოსანი გუნდი შემდეგი, 2022-2023 სეზონისთვის დიდ 10-ში დასარჩენად ორ-მატჩა დუელში ეთამაშება 2021-2022 სეზონში I ლიგაში II ადგილზე გასულ გუნდს

2.3.3.1 თამაშები გაიმართება შინ და გარეთ. პირველ შეხვედრაში მასპინძელია I ლიგის გუნდი

2.3.3.2 დუელის გამარჯვებული გამოვლინდება ორი თამაშის ჯამური ანგარიშით

ამ მატჩებში ბონუსების დარიცხვა არ ხდება

2.3.3.3 ჯამურ ფრეზე გამარჯვებულად გამოცხადდება ის გუნდი,

ა) რომელსაც გატანილი და მიღებული ლელოების უკეთესი სხვაობა ექნება ამ ორ მატჩში

ბ) რომელიც ნაკლებ დისციპლინარულ სასჯელს (ჯერ წითელ, მერე ყვითელ ბარათს) მიიღებს ამ ორ მატჩში

გ) დიდი 10-ის გუნდი

3. სავარაუდო ვადები

2021 წლის სექტემბერი – 2022 წლის მაისი

23/07_2021